საქართველოს მთავრობის

დადგენილება №123

2025 წლის 25 აპრილი

ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივნისის №340 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2025 წლის 16 აპრილის №484-IIმს-XIმპ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივნისის №340 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 26/06/2018, 010220000.10.003.020656) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. მე-2 მუხლის „ნ“, „ო“, „პ“ და „რ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

2. მე-4 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეული თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს პრემიერ-მინისტრზე პირდაპირი დაქვემდებარების პრინციპით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 1 მაისიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**